

25-ზე მეტი წლის განძილზე ექსპლუატაციაში მყოფი და ახლად აშენებული ჰესის მუშაობის ეფექტიანობის შეფასება



Friends of
the Earth
International

**FRIEDRICH
EBERT** 
STIFTUNG

25-ზე მეტი წლის მანძილზე ექსპლუატაციაში მყოფი და ახლად აშენებული ჰესის მუშაობის ეფექტიანობის შეფასება

ანზორ დუნდუა, თამაზ ვაშაკიძე და ნუგზარ უფლისაშვილი

თბილისი
2019



Friends of
the Earth
International

FRIEDRICH
EBERT
STIFTUNG

სარჩევნი

ანოტაცია	3
შესავალი	3
ხრამის ჰესი 1	5
ხრამის ჰესი 2	13
ჟინვალის	21
აფარის წყლის ჰესი	28
ბახვი ჰესი 3	33
ნაბეღლავის ჰესი	38
დასკვნა	43

ანოტაცია

ბუნებრივად გამდინარე წყალს თან მიყვება ქვიშისა და სხვა სახის აბრაზიული მასალა, რომელიც ჰიდროტექნიკურ ნაგებობებსა და ჰიდროტურბინულ დანადგარებში გასვლისას ახდენს მათ ცვეთას. ამიტომ, ტექნიკური ექსპლუატაციის წესების (ტენ. მუხლი 14. 3.1.) მოთხოვნის თანახმად, 25-ზე მეტი წლის მანძილზე ექსპლუატაციაში მყოფი ყველა სადანწეო ჰიდრო ტექნიკური ნაგებობა, მიუხედავად მისი მდგომარეობისა, ექვემდებარება სიმტკიცის, მდგრადობის და საიმედოობის შემოწმებას, პერიოდულ, მრავალფაქტორიან გამოკვლევას. მიღებული გამოკვლევების შედეგების საფუძველზე ტარდება ჰიდროტექნიკური ნაგებობების ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში მოსაყვანი და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფი ღონისძიებები.

მონიტორინგის მიზანია:

შერჩეული ჰესების არსებული მდგომარეობის შესწავლა (ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და რენტაბელობა), რეზერვების გამოვლენა და შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით რეკომენდაციების გაცემა.

ფაქტიურად მონიტორინგის შედეგი უნდა გახდეს ცალკეული ჰესების რეაბილიტაციის საინვესტიციო პროექტის საწინდარი. მისი შინაარსი წარმოდგენილი იქნება წინა საინვესტიციო და ექსპლუატაციის ფაზებით, რომლებიც თავის მხრივ იყოფა ცალკეულ ეტაპებად. მონიტორინგის ამოცანა მდებარეობს იმ პრობლემების გამოვლენაში, რაც აუცილებელია წინასაინვესტიციო პროექტისათვის. წინასაინვესტიციო ეტაპი შედგება წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების, მისი ანალიზის, აუცილებელი სარეაბილიტაციო ღონისძიებების და სამუშაოების გამოვლენა-დაგეგმვით, ალტერნატიული ვარიანტების განხილვით და შეფასებით დასკვნით.

შესავალი

მსოფლიო დგას მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი გამოწვევების წინაშე, რომლებიც ადამიანის საქმიანობას და კლიმატის ცვლილების შედეგებს უკავშირდება. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე საგრძნობლად იმატა ბუნებრივი კატაკლიზმების რიცხვმა, გახშირდა წყალდიდობები, წყალმოვარდნები, მენყრები, ტყის ხანძრები და სხვა ბუნებრივი მოვლენები, რომლებიც კლიმატის ცვლილებითაა განპირობებული. ბუნებრივია, კლიმატის ცვლილებები საქართველოსაც შეეხო.

ენერგეტიკის სექტორში საქართველოს მიზანია გრძელვადიანი ენერგეტიკული უსაფრთხოების მიღწევა, თუმცა ქვეყანა კვლავ დამოკიდებულია იმპორტირებულ რესურსებსა და წიაღისეულ საწვავზე. პრობლემად რჩება განახლებადი ენერჯის არასაკმარისი გამოყენება და ენერგორესურსების ნაკლებ ეფექტიანი მოხმარება და წარმოება. ამავდროულად, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში საქართველოს ელექტრო-ენერგეტიკულ სექტორში გვაქვს ელექტროენერჯის მოხმარების საშუალოდ 5%-იანი ზრდა, განსაკუთრებით ბოლო ორ წელიწადში ზრდა 7% იყო, მანამდე - 4.5%-ის ფარგლებში. გენერაციაში ზრდა მხოლოდ 3.8% გვქონდა და ეს იმას ნიშნავს, რომ უფრო მეტს მოვიხმართ, ვიდრე გამოვიმუშავებთ, შესაბამისად, იმპორტი და მასზე დამოკიდებულება იზრდება. ეს ძალზედ საგანგაშო და დასაფიქრებელი მაჩვენებელია.

ენერგეტიკაში ნაციონალური სტრატეგიის და პოლიტიკის მიმართულებების ბუნდოვნება აძნელებს ენერგეტიკული პროექტების და მთლიანად ენერგეტიკის შეფასებას. არ არის მკვეთრად გამოხატული რამდენად არსებული ენერგო პოლიტიკა შეესაბამება ენერგომომარაგების, ენერგომოხმარების ეროვნულ ტენდენციებს და რამდენად უზრუნველყოფს ენერგოუსაფრთხოებას. ამასთან, არ არის გამოკვეთილი გრძელვადიანი მიზნები ენერჯის ნეგატიური გავლენის შემცირებისთვის გასატარებელ ღონისძიებებზე, ზოგადად ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. ალბათ აღნიშნული მდგომარეობის გამო და ზოგადად ენერგეტიკის განვითარების მიზნით, სახელმწიფომ დაუდო ხელშეკრულება კონსალტინგურ კომპანია McKinsey & Company (2018 წ), თუმცა მისი საქმიანობის ოფიციალური ინფორმაცია ჯერ არ გაქვლინებულა.

რაც შეეხება რეგიონალურ პოლიტიკას ენერგეტიკაში, ერთი შეხედვით ურთიერთსარფიანი თანამშრომლობა ისახება. კერძოდ, 2015 წლის ბოლოს რუსეთის, სომხეთის, ირანის და საქართველოს ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ენერგეტიკის სფეროში „ემორანდუმს თანამშრომლობის შესახებ“, რომელმაც გამოაშკარავა ის პერსპექტივები, რომლებიც ხელს შეუწყობს აღნიშნული ქვეყნების ენერგოსისტემების განვითარებას. ხელმოწერილი დოკუმენტი გულისხმობს ოთხი ქვეყნის ენერგოსისტემის ერთობლივ მუშაობას ელექტროენერჯის გადაცემა-გადმოცემის მართვის სფეროში. უნდა შექმნილიყო საკოორდინაციო და რეგიონალური სადისპეჩერო საბჭო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სწრაფი რეაგირება კრიზისულ და საგანგებო სიტუაციებში და დაარეგულიროს ელექტროენერჯით ვაჭრობა და მისი ტრანზიტი.

ყველა ტექნოლოგიური სისტემა, მონყობილობა, შენობა-ნაგებობა, მათ შორის, ენერგობიექტის შემადგენლობაში შემავალი ყველა ჰიდრონაგებობა, ექვემდებარება პერიოდულ ტექნიკურ შემოწმებას. შემოწმება უნდა ჩატარდეს მოქმედი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტებით დადგენილ ვადებში, მაგრამ არანაკლებ, ვიდრე 5 წელიწადში ერთხელ განსაზღვრა. (ტენ. მუხლი 6. 3.2.)

ტექნიკური შემოწმების შედეგები უნდა იყოს შეტანილი ენერგობიექტის ტექნიკურ პასპორტში. ენერგობიექტის პერიოდულ ტექნიკურ შემოწმებას აწარმოებს ენერგობიექტის კომისია ენერგობიექტის ტექნიკური ხელმძღვანელის ან მისი მოადგილის თავმჯდომარეობით. კომისიის შემადგენლობაში შედიან ენერგობიექტის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები და სპეციალისტები. ასევე კომისიის მუშაობაში შესაძლებელია მონაწილეობა მიიღონ მოწვეულმა სპეციალისტებმა. ტექნიკური შემოწმების მიზანს წარმოადგენს ენერგოდანადგარის და შენობა-ნაგებობის (შენობა-ნაგებობების) მდგომარეობის შეფასება, აგრეთვე ენერგოდანადგარის დადგენილი რესურსის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ღონისძიებების განსაზღვრა.

საქართველოს ენერგეტიკული სისტემა წელიწადში დეფიციტურია 8 თვის განმავლობაში, ანუ მომხმარებლის ელექტროენერჯეტიკულ რესურსში მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად უნდა განხორციელდეს ელექტროენერჯის იმპორტი. განსაკუთრებით მდგომარეობა რთულდება ყოველი წლის პირველი კვარტალში, როდესაც იმპორტზე დამოკიდებულება 25–30%–ს შეადგენს. ამ პერიოდში ერთის მხრივ არის ელექტროენერჯის მოხმარების პიკი და, მეორის მხრივ – გენერაცია ამ დროს ყველაზე დაბალ დონეზეა, რადგან ზამთრის ამ დროს საქართველოს მდინარეებში ჩამონადენი მინიმალურია და ჰიდრორესურსები არ გვაქვს.

ეს თავისთავად ძალიან დიდი გამოწვევა და სირთულეა ჩვენი სისტემის, რომელიც წესით უნდა გადაიქცეს სტიმულატორად, რათა ვთქვათ, რომ ჩვენ გვჭირდება ინვესტიციების მოზიდვა, რათა დავაბალანსოთ ჩვენი ენერგომომხმარება და იმპორტზე დამოკიდებულება შევამციროთ. სტატისტიკა, რომელიც დღესდღეობით საჯაროდ ვრცელდება, ძირითადად საუბრობს ელექტროენერჯის იმპორტზე, როგორც პროდუქტზე, მაგრამ ჩვენ ენერგოგენერაციაში 23% თბოელექტროსადგურებია, ანუ ჩვენ ენერჯიას თბოსადგურებით გამოვიშვებთ, რომელიც თავის მხრივ, იმპორტირებულ გაზს ნიშნავს და ესეც არ უნდა დაგვავინწყდეს. გენერაციაში ძალიან დიდი წილი აქვს თბოსადგურებს. ეს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ქვეყნის ენერგო-დამოუკიდებლობისა და ენერგოუსაფრთხოების საკითხს.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად მიმდინარე წლის 10 თვეში ქვეყნის ელექტროენერჯის მოხმარებამ შეადგინა 9.897,7 მლნ. კვტსთ, საკუთარი ელექტროსადგურების მიერ წარმოებული იყო 8.201,7 მლნ. კვტსთ (მათ შორის ჰესებში 6.800,2 მლნ. კვტსთ), ხოლო ვალუტაზე შეძენილი იმპორტული ელექტროენერჯია – 878 მლნ. კვტსთ.

ნათქვამიდან ჩანს, რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა გენერაციის საკუთარი წყაროების სიდიდის გაზრდა. ერთ-ერთ საშუალებად მიგვაჩნია საქართველოს ჰიდროელექტროსადგურების აღჭურვილობის მოძველებული პარკის მოდერნიზება–რეკონსტრუქცია, რაც შედარებით ნაკლებ დროში და ფინანსური დანახარჯებით გარკვეულწილად აამაღლებს ექსპლუატაციის დონეს და ექსპლუატაციის მაჩვენებლებს.

ჩვენს მიერ ექვს ენერგობიექტზე შესრულებულმა კვლევამ ცხადყო, რომ უნდა ჩატარდეს დეტალური ტექნიკური აუდიტი ენერგობიექტის მდგომარეობის შესაფასებლად და შემუშავდეს ღონისძიებები არსებული ნაგებობების და დანადგარების მუშაობის იმედიანობის და ენერგეტიკული მახასიათებლების გაზრდის მიზნით.

ხრამის ჰესი I

1. ჰესის მოკლე დახასიათება

ხრამჰესი I — მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგური საქართველოში, წალკის მუნიციპალიტეტში, მდინარე ხრამზე, შერეული ტიპის მაღალდანევიანი ჰიდროელექტროსადგურია. სადგურზე გამოიყენება მდინარე ხრამის წყალჩამონადენი. სათავე ნაგებობანი განთავსებულია წალკის ხეობის დასაწყისში, ხოლო ელექტროსადგურის ძალური კვანძი აშენებულია ღრმა ხეობაში, მდინარე ხრამის ყოფილ კალაპოტში. ამუშავდა 1947 წლის დეკემბერში. მისი დადგმული სიმძლავრეა 112.8 ათ. კვტ და საპროექტო საშუალო წლიური გამომუშავება 184 მილიონი კვტ. საათი.



- ა) სრული სახელწოდება - სს „ხრამჰესი I“
- ბ) იურიდიული მისამართი - წალკის რაიონი, დაბა ხრამჰესი
- გ) საფოსტო და ელექტრონული მისამართები - 0171, kguliashvili@khramhesi.ge
- დ) საკუთრების ფორმა, ობიექტის (საწარმოს) მფლობელი: სააქციო საზოგადოება - შპს „Gardabani Holdings B.V“
- ე) მონაცემები ძირითადი სტრუქტურების და მათი ხელმძღვანელების შესახებ -
- ვ) პერსონალის სტრუქტურა და რიცხოვნება

მუშა	31
მოსამსახურე	3
სპეციალისტი	22
ხელმძღვანელი	7

2. ძირითადი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები

- ტექნოლოგიური პროცესების, ძირითადი მოწყობილობების, მანქანების და მექანიზმების ჩამონათვალი;
- მართვის სტრუქტურა, წარმოების მუშაობის რეჟიმი: ჰესი მუშაობს სსეს-ის ცენტრალური დისპეტჩერის დატვირთვის შესაბამისად.
- მუშაკების საერთო რაოდენობა.
- ძირითადი გადაწყვეტილებები და მაჩვენებლები:

ტურბინა

ტურბინის მარკა - KMW Швеция

საანგარიშო წყლის ხარჯი - 36 მ³/წმ ჰესის სრული სიმძლავრით დატვირთვისას

საანგარიშო დაწნევა - მაქსიმალური - 420 მ. მინიმალური - 347 მ. ნორმალური - 370 მ.

საანგარიშო მ.ე.კ. - 89%

დადგმული სიმძლავრე - 112.8 მვტ.

სწრაფმავლობის კოეფიციენტი - 52.6

ნომინალური ბრუნვათა რიცხვი - 375 ბრ/წთ

გენერატორი

გენერატორის მარკა - ASEA/ Швеция

ნომინალური სიმძლავრე - 37,6 მვტ.

მარგი ქმედების კოეფიციენტი - 97.3%

ნორმალური ბრუნვათა რიცხვი - 375 ბრ/წთ

გაქცევის ბრუნვათა რიცხვი - 675 ბრ/წთ

სტატორის ნომინალური ძაბვა - 10500 ვ.

სტატორის დენი - 2585 ა.

აგზნების სისტემა, აგზნების დენი - ტირისტორული. 980 ა.

აგზნების ძაბვა - 20 ვ.



3. მონაცემები უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ენერჯის წლიური წარმოების შესახებ და მისი ანალიზი

ხრამისი 1

პესი	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	საშ. წლ.
მლნ. კვტ/სთ	243,2	220,5	227,7	297,3	298,6	267,4	186,7	205,2	228,3	226,2	195,3	194,2	240

4. საპროექტო და არსებულ სიმძლავრეებს შორის სხვაობა

4.1. უკანასკნელი 12 წლის მანძილზე შესრულებული კომპლექსური კვლევების რაოდენობა:

7 ჰიდრო-ტექნიკური შენობა-ნაგებობის და 3 ელ. დანადგარების

4.2. უკანასკნელი 12 წლის მანძილზე ცალკეულ დანადგარებზე ჩატარებული დიაგნოსტიკური კვლევები:

4 კვლევა აშწე კრანზე; 4 კვლევა წნევის ქვეშ მომუშავე ჭურჭელზე; 4 კვლევა ჰიდროაგრეგატებზე.

4.3. უკანასკნელი 12 წლის მანძილზე შესრულებული კაპიტალური რემონტები ან რეკონსტრუქცია. ან ღონისძიებაზე დახარჯული სახსრები. მიღებული შედეგები:

2 კაპრემონტი ძალოვან ტრანსფორმატორებზე; 2 კაპრემონტი თითოეულ აგრეგატზე, ჯამში 6 კაპრემონტი; 3 მუშათვლის რეკონსტრუქცია; სერვოდრავის რეკონსტრუქცია; 2 საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორის შეცვლა.

4.4. უკანასკნელი 12 წლის მანძილზე ძირითადი მონყობილობა-დანადგარების ავარიული მოცდენები, გაცდენის დროს გამოუმუშავებული ელექტროენერჯია: - 0



5. ინფორმაცია ჰესის საექსპლუატაციო სიმძლავრის გარღვევის და შეზღუდვის შესახებ

ჰესის საექსპლუატაციო სიმძლავრის გარღვევის და შეზღუდვის აღმოსაფხვრელად გეგმების არსებობა და შესრულება (ენერგოდანადგარებში ექსპლუატაციის პროცესში შესრულებული ყველა ცვლილება უნდა იყოს მეთანილი ინსტრუქციებში, ნახაზებსა და სქემებში): – 0.



6. დაფიქსირებული ხარვეზების მიზეზები და ხანგრძლივობა

ხარვეზების გარეშე.

7. ხარვეზების მიზეზების გამოსაკვლევად ჩატარებული კვლევები და მათ აღმოსაფხვრელად საჭირო, შესაბამისი ღონისძიებების ჩამონათვალი (ვადაბი, მოცულობა), ღონისძიებების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი

- ა) ჰიდროტექნიკური ნაგებობები (მდგომარეობა და ექსპლუატაციის პირობები): ხარვეზების გარეშე
- ბ) ჰიდროტურბინული მონყობილობა–დანადგარები; (შესაბამისობა საპროექტოსთან). ჰიდროტურბინული დანადგარების ექსპლუატაციის დროს მათი შეუფერხებელი მუშაობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოცემული დატვირთვის და არსებული დაწნევის პირობების შესაბამისი, შესაძლოდ მაქსიმალური მარგი ქმედების კოეფიციენტით. არ დაიშვება ვიბრაციის მომატებული დონეებით ჰიდროაგრეგატის ხანგრძლივი მუშაობა: ხარვეზების გარეშე
- გ) ელექტროტექნიკური მონყობილობა–დანადგარები: ხარვეზების გარეშე
- დ) სხვა ნაგებობები და მონყობილობა–დანადგარები: ხარვეზების გარეშე

ენერგობიექტების ექსპლუატაციის ორგანიზაციაზე ტექნიკური და ტექნოლოგიური მონიტორინგი გულისხმობს, რომ ყველა ტექნოლოგიური სისტემა, მონყობილობა, შენობა-ნაგებობა, მათ შორის, ენერგობიექტის შემადგენლობაში შემავალი ყველა ჰიდრონაგებობა, ექვემდებარება პერიოდულ ტექნიკურ შემოწმებას 5 წელიწადში ერთხელ, ენერგო დანადგარის დადგენილი რესურსის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით: სრულდება შესაბამისი პერიოდულობით.

8. ექსპლუატაციის პერიოდში გაჩენილი შესაძლო სვლილებები, (ეკოლოგიური მდგომარეობის და უსაფრთხოების გათვალისწინებით)

წყალსაცავების შევსების და დაცლის (რეჟიმები) დასაშვები სიჩქარეები; ნატანის მონიტორინგი და შესაბამისი ღონისძიების ჩატარება მის (შესამცირებლად); ზეთის გაჟონვები ჰიდროტექნიკური და ელექტროტექნიკური მოწყობილობებიდან.

ნატანის გასანმენდად შეძენილია სპეციალური მოწყობილობა.



9. ძირითადი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები:

- ტექნოლოგიური პროცესების, ძირითადი მოწყობილობების, მანქანების და მექანიზმების ჩამონათვალი;
- მართვის სტრუქტურა, ნარმოების მუშაობის რეჟიმი;
- მუშაკების საერთო რაოდენობა;
- გენერალური გეგმის ძირითადი გადაწყვეტილებები და მაჩვენებლები.

10. სამოქალაქო დაცვის საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებები

- სამოქალაქო დაცვის საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების დახასიათება;
- სამოქალაქო დაცვის ფართობების გამოყენება სამეურნეო საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში.

11. გარემოს დაცვა

რაიონის საერთო ეკოლოგიური დახასიათება

ხრამჭესის არეალის ზოგადი ეკოლოგიური მდგომარეობის დასახასიათებლად გამოყენებულია არსებული სპეციალური ლიტერატურა და ფონდური მასალები, მათ შორის: ვიკიპედია, ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია (ალფენიძე, მ., ელიზბარაშვილი, ე., დახარაძე, ვ.), საქართველოს მდინარეთა ჰიდროგრაფია (ვიკალიშვილი, თ.), გარემოს დაცვის ეკოლოგიური პრინციპები (ქაჯაია, გ.), გარემო და მდგრადი განვითარება (პეპენაშვილი ნ., კლიშიაშვილი ლ., და მალრაძე, ვ.) საქართველოს ტერიტორიისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი სტიქიური მოვლენებისა და რისკების ატლასი.

ხრამი არის მტკვრის მარჯვენა შენაკადი, რომელსაც ზემო წელში უწოდებენ ქცისას. მდინარე ხრამი სათავეს იღებს თრიალეთის ქედის კალთებზე, მიედინება ღრმა ხეობაში. მდინარის სიგრძე 201 კმ-ია, აუზის ფართობი - 83402 კმ, წყლის საშუალო ხარჯი - 51 კუბ.მ/წმ, მაქსიმალური - 448 კუბ.მ/წმ. საზრდოობს უპირატესად თოვლით, ზამთრის პერიოდში არ იყინება, ქვემო წელში გამოიყენება სარწყავად. ხრამზე აგებულია ნალკის წყალსაცავი და ორი ჰიდროელექტროსადგური: ხრამჭესი I და ხრამჭესი II.

მდინარე ხრამის აუზში კონტინენტური კლიმატია, ნალექიანობა მინიმალურია ზამთრისა და ზაფხულის ბოლოს. ხრამის აუზის მაღალმთიან ნაწილში (2000-3000 მ) სუბალპური ბალახი ხარობს, სტეპის ელემენტებით. ზეგნებზე გამოიყოფა შემდეგი ვეგეტაციური ზონები: მთიანი სტეპის მცენარეულობა; წიწვნარი, მუხნარი და რცხილის ტყეები; უფრო დაბლა ტყეები თხელდება და მათ ეკლიანი ბუჩქნარი ცვლის ტყის ელემენტებით. სტეპები და თხმელის პატარა ტყეები მდინარის გასწვრივ ჭარბობს აუზის კიდევ უფრო დაბალ მონაკვეთზე (ალუვიურ ველზე).

მდინარე ხრამს ქართლისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და მისი ჩამონადენის თითქმის ყოველი კუბური მეტრი წყალი აღრიცხვაზეა აყვანილი. მდინარე ხრამის წყალი დღეისათვის გამოყენებულია მრავალი სოფლის სასმელი წყლით მომარაგებისათვის, კიდევ მრავალი სოფელი გეგმავს მდინარე ხრამიდან სასმელი წყლით უზრუნველყოფას. მდინარით ირწყვება ათასობით ჰექტარი სავარგულები და ათასობით ჰექტარი სავარგულების მორწყვა კიდევ იგეგმება [2], მიუხედავად იმისა, რომ უკვე დღეისათვის წარმოქმნილია სარწყავი წყლის დეფიციტი. სოფლები, რომლებიც "მიბმული" არიან მდინარე ხრამზე, დასახლებულია აზერბაიჯანული მოსახლეობით, რომლებიც მთლიანად დაკავებული არიან სასოფლო პროდუქტების მოყვანით და წელიწადში იღებენ სამ მოსავალს. მდინარე ხრამის ჩამონადენის თუნდაც ნაწილობრივი შემცირება ნიშნავს მათ დატოვებას საარსებო პირობების გარეშე. ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა სოფლის მეურნეობაა.



ობიექტის გავლენის შეფასება გარემოზე

სს „სრამჰესი 1“ ზრუნავს გარემოზე, არის ISO 14001:2015 სერტიფიკატის მფლობელი. 1947 წელს აშენებული სრამჰესის კაშხლის შედეგად მთლიანად (ყრუდ) გადაიკეტა მდინარე სრამის კალაპოტი, რითაც შესაბამისი გავლენა მოხდა ეკოსისტემაზე.

CERTIFICADO
 CERTIFICATE
 認證證書
 CERTIFIKAT



Management Service

СЕРТИФИКАТ

Орган по сертификации
 общества TÜV SÜD Management Service GmbH
 удостоверяет, что предприятие



АО «Храми ГЭС-I»
 Цалкский район
 поселок ХрамГЭС
 Грузия

в следующей области действия

**Производство
 электрической энергии**

внедрило и применяет
 систему экологического менеджмента.

В результате аудита, номер отчёта **707049538**
 получено подтверждение, что требования

ISO 14001:2015

выполнены.

Данный сертификат действителен с **06.07.2018 г.** по **28.09.2021 г.**
 Регистрационный номер сертификата: **12 104 50707 TMS.**



Product Compliance Management
 Мюнхен, 09.07.2018 г.





TÜV SÜD Management Service GmbH • Zertifizierungsstelle • Ridlerstrasse 65 • 80339 München • Germany
www.tuv-sued.de/certificate-validity-check



- ღონისძიებები ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და გარემოს დაცვის მიმართ: დამონტაჟებულია ტექნიკური და საყოფაცხოვრებო ნწყლების გამწმენდი მოწყობილობები
- გადაწყვეტილებები სანარმოო უსაფრთხოების და შესაძლო ავარიული სიტუაციების გაფრთხილების და ლიკვიდირების უზრუნველყოფის მიმართ: სანარმოოში არსებობს ავარიის ლიკვიდაციის გეგმა. ტარდება პერსონალის ტრენინგი
- ობიექტის საჯარო განხილვის შედეგები და საზოგადოების აზრი: სს ხრამჭეს 1 გზმ არ არის გაკეთებული.
- ობიექტის ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის და შრომის უსაფრთხოების პირობების უზრუნველყოფის მიმართ სახელმწიფო ზედამხედველობის და ინსპექტირების ნორმატიული და ტექნიკური მოთხოვნების დაცვის ღონისძიებები: შექმნილია დოკუმენტაცია შრომის დაცვის და უსაფრთხოების სფეროებში. ხდება დოკუმენტაციის პერიოდული გადახედვა.
- საშიში და მავნე სანარმოო ფაქტორებისაგან (ხმაური, ვიბრაცია, ელექტრომაგნიტური და რადია-ციული გამოსხივება და სხვა) მომუშავე პერსონალის დაცვის ტექნიკური გადაწყვეტილებები: პერსონალისათვის შექმნილია სპეცპებსაცმელი და სპეცტანსაცმელი, აგრეთვე ხმაურისაგან დამცავი ყურსაცმები და საცობები. სამუშაო ადგილზე დაშვება ხდება დამცავი ჩაფხუტებით. შესაბამისი სამუშაო ადგილები აღჭურვილია დამცავი საშუალებებით.

დასკვნები

საერთო დასკვნები ობიექტის შესახებ:

- 1947 წელს აშენებული ხრამჭესის კაშხლის შედეგად მთლიანად (ყრუდ) გადაიკეტა მდინარე ხრამის კალაპოტი, რითაც შესაბამისი გავლენა მოხდა ეკოსისტემაზე;
- განხორციელებული რეკონსტრუქციის და მოდერნიზაციის შემდეგ არ შესრულდა დანადგარის (ტურბინის) ენერგეტიკული ტესტირება (გამოცდა).

დღეისათვის სადგური იმყოფება გამართულ მდგომარეობაში, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს ელ.ენერჯის წარმოებას, დისპეტჩერული გრაფიკის მიხედვით.

სადგურის მუშაობის საიმედოობის ასამაღლებლად დაგეგმილია სტატორების, სარელეო დაცვის და ავტომატიკის სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროგრამა მოცემულია დანართში).

ხრამის ჰესი II

1. ჰესის მოკლე დახასიათება

ხრამჰესი II — მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგური საქართველოში, დმანისის მუნიციპალიტეტში, მდინარე ხრამზე, ტიპური დერივაციული სადღეღამისო რეგულირების ჰიდროელექტროსადგურია. წარმოადგენს ხრამჰესების კასკადის მეორე საფეხურს. სადგურზე გამოიყენება ხრამჰეს I-ის გადამუშავებული წყლის, ხრამჰეს I-ის და ხრამჰეს II-ის კაშხლებს შორის მდინარე ხრამის დამატებითი დინების, მდინარე ყარაბულახისა და მდინარე ჭოჭიანის ერთობლივი წყალჩამონადენი. ჰესის მშენებლობა 1954 წელს დაიწყო. მისი ორივე აგრეგატი საექსპლუატაციოდ გადაეცა 1963 წელს. დადგმული სიმძლავრეა 110 ათ. კვტ და საპროექტო საშუალო წლიური გამომუშავება 350 მილიონი კვტ.საათი.



- ა) სრული სახელწოდება - სს „ხრამჰესი 2“
- ბ) იურიდიული მისამართი - დმანისის რაიონი, დაბა ხრამჰესი
- გ) საფოსტო და ელექტრონული მისამართები - 0171, kguliashvili@khramesi.ge
- დ) საკუთრების ფორმა, ობიექტის (სანარმოს) მფლობელი - სააქციო საზოგადოება: შპს „Gardabani Holdings B.V“
- ე) მონაცემები ძირითადი სტრუქტურების და მათი ხელმძღვანელების შესახებ -
- ვ) პერსონალის სტრუქტურა -

ხელმძღვანელი	7
სპეციალისტი	28
მოსამსახურე	3
მუშა	38

2. ძირითადი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები

- ტექნოლოგიური პროცესების, ძირითადი მონაცობილობების, მანქანების და მექანიზმების ჩამონათვალი;
- მართვის სტრუქტურა, წარმოების მუშაობის რეჟიმი: ჰესი მუშაობს სსეს-ის ცენტრალური დისპეტჩერის დატვირთვის შესაბამისად;
- მუშაკების საერთო რაოდენობა: 76;
- გენერალური გეგმის ძირითადი გადაწყვეტილებები და მაჩვენებლები.

ტურბინა

ტურბინის მარკა: რადიალურ ღერძული ვერტიკალური

საანგარიშო წყლის ხარჯი - 41 მ³/წმ ჰესის სრული სიმძლავრით დატვირთვისას

საანგარიშო დაწნევა:

მაქსიმალური - 324 მ.

მინიმალური - 297 მ.

ნორმალური - 307 მ.

საანგარიშო მ.ქ.კ. - 92 %

დადგმული სიმძლავრე - 118,8 მვტ

ნომინალური ბრუნვათა რიცხვი - 428,6

საანგარიშო განოვის სიმაღლე - 0,87 მ

გენერატორი

გენერატორის მარკა - სინქრონულ-ვერტიკალური 430/210-14

ნომინალური სიმძლავრე - 59,4 მვტ.

მარგი ქმედების კოეფიციენტი - 97,6%

ნორმალური ბრუნთა რიცხვი - 428,6 ბრ/წთ


გაქცევის ბრუნთა რიცხვი - 725ბრ/წთ

სტატორის ნომინალური ძაბვა - 10500 ვ.

სტატორის დენი - 4088 ა.

აგზნების სისტემა, აგზნების დენი - 900 ა.

აგზნების ძაბვა - 440 ვ.




ხრამჭეს 2-ს სათავო ნაგებობა და დღე-ღამური რეგულირების აუზი

3. მონაცემები უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ენერჯის წლიური წარმოების შესახებ და მისი ანალიზი.

წელი	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	საშ. წლ.
მლნ. კვტ/სთკ	184,5	347,2	325,8	385,5	409,8	363,0	299,2	316,8	346,0	338,9	298,3	311,0	350

4. საპროექტო და არსებულ სიმძლავრეებს შორის სხვაობა;

რეაბილიტაციის შემდეგ თითოეული აგრეგატის სიმძლავრე გაიზარდა 8%-ით.



ჰესის შენობის ჭრილი

5. ინფორმაცია ჰესის საექსპლუატაციო სიმძლავრის გარღვევის და შეზღუდვის შესახებ

ჰესის საექსპლუატაციო სიმძლავრის გარღვევის და შეზღუდვის აღმოსაფხვრელად გეგმების არსებობა და შესრულება. (ენერგოდანადგარებში ექსპლუატაციის პროცესში შესრულებული ყველა ცვლილება უნდა იყოს შეტანილი ინსტრუქციებში, ნახაზებსა და სქემებში).

გ-1-ის სიმძლავრე შეზღუდულია 45 მვტ-მდე ცტატორის სიძველის გამო. ამჟამად მიმდინარეობს ძველი სტატორისა და ხვიების შეცვლა ახლით, რაც სავარაუდოდ დასრულდება წლის ბოლოს.

6. დაფიქსირებული ხარვეზების მიზნები და ხანგრძლივობა

მუშაობს ხარვეზების გარეშე.

7. ხარვეზების მიზნების გამოსაკვლევად ჩატარებული კვლევები და მათ აღმოსაფხვრელად საჭირო, შესა-ბამისი ღონისძიებების ჩამონათვალი (ვადეები, მოცულობა), ღონისძიებების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი

- ა) ჰიდროტექნიკური ნაგებობები (მდგომარეობა და ექსპლუატაციის პირობები): ძირითადი დერივაცია მუშაობს ხარვეზების გარეშე. ყარაბულახის უდანევო გვირაბი საჭიროებს რეაბილიტაციას.
- ბ) ჰიდროტურბინული მონყობილობა–დანადგარები (ჰტნ შესაბამისობა საპროექტოსთან); ჰიდროტურბინული დანადგარების ექსპლუატაციის დროს მათი შეუფერხებელი მუშაობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოცემული დატვირთვის და არსებული დაწვევის პირობების შესაბამისი, შესაძლოდ მაქსიმალური მარგი ქმედების კოეფიციენტით. არ დაიშვება ვიბრაციის მომატებული დონეებით ჰიდრო-აგრეგატის ხანგრძლივი მუშაობა: მუშაობს ხარვეზების გარეშე. ცენტრალური დიკპეტჩერის მოთხოვნის გამო ხშირად ვერ ხერხდება შესაძლო მაქსიმალური მარგი ქმედების კოეფიციენტით მუშაობა, ვინაიდან მეტი წილი აგრეგატები დატვირთულია 10 და 30 მგვტ.
- გ) ელექტროტექნიკური მონყობილობა–დანადგარები: მუშაობს ხარვეზების გარეშე.
- დ) სხვა ნაგებობები და მონყობილობა–დანადგარები: მუშაობს ხარვეზების გარეშე.

ენერგობიექტების ექსპლუატაციის ორგანიზაციაზე ტექნიკური და ტექნოლოგიური მონიტორინგი გულისხმობს, რომ ყველა ტექნოლოგიური სისტემა, მონყობილობა, შენობა-ნაგებობა, მათ შორის, ენერგობიექტის შემადგენლობაში შემავალი ყველა ჰიდრონაგებობა, ექვემდებარება პერიოდულ ტექნიკურ შემოწმებას 5 წელიწადში ერთხელ, ენერგო დანადგარის დადგენილი რესურსის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით.

- უკანასკნელი 12 წლის მანძილზე შესრულებული კომპლექსური კვლევების რაოდენობა;
- უკანასკნელი 12 წლის მანძილზე ცალკეულ დანადგარებზე ჩატარებული დიაგნოსტიკური კვლევები;



სამანქანო დარბაზი

- უკანასკნელი 12 წლის მანძილზე შესრულებული კაპიტალური რემონტები ან რეკონსტრუქცია. ან ღონისძიებაზე დახარჯული სახსრები. მიღებული შედეგები.
- უკანასკნელი 12 წლის მანძილზე ძირითადი მოწყობილობა–დანადგარების ავარიული მოცდენები, გაცდენის დროს გამოუმუშავებული ელექტროენერგია.

ჩატარებულია შემდეგი საშემკეთებლო სამუშაოები:

2008 წ.

- დახრილი მილსადენის გამოკვლევა
- დელამური რეგულირების ავზის წყალმიმღების ფარების რემონტი
- BMT 220 ტიპის, 2 კომპლექტი ამომრთველის კაპიტალური შეკეთება

2009 წ.

- N 1 ჰიდროაგრეგატის რეაბილიტაცია;
- N 1 ჰიდროაგრეგატის სფერული საკეტის მუშა შემჭიდროებების კაპიტალური რემონტი;
- დელამური რეგულირების ავზის მექანიზმების შენობის რემონტი.

2010 წ.

- N 1 ჰიდროაგრეგატის სფერული საკეტის ახალი ზეთსადანნეო სისტემის მონტაჟი;
- 220/110 კვ ელექტროგადამცემი ხაზების კომერციული აღრიცხვის სისტემის მოწესრიგება;
- ყარაბულახის ჰიდრონაგებობების შენობის რემონტი.

2011 წ.

- ზეთის მეურნეობის და სასაწყობე შენობების რემონტი და მოწყობა;
- ჭოჭიანის ჰიდრონაგებობების რემონტი;
- MMO 110 ტიპის, 4 ცალი ზეთიანი ამომრთველის რემონტი.

2012 წ.

- ჰესის მიწისქვეშა ნაწილის რეაბილიტაცია;
- კომერციული აღრიცხვის სისტემის ავტომატიზაცია;
- N 2 ჰიდროაგრეგატის კაპიტალური რემონტი.

2013 წ.

- დისკური საკეტების ზეთსადანნეო სისტემის რეაბილიტაცია;
- 220/110/10 კვ ღია გამანაწილებელი მოწყობილობის სრული რეაბილიტაცია;
- N 1 და N 2 ჰიდროაგრეგატების მიმდინარე შეკეთება.



სფერული საკეტების შენობა

8. ექსპლუატაციის პერიოდში გარეგანი შესაძლო ცვლილებები, (ეკოლოგიური მდგომარეობის და უსაფრთხოების გათვალისწინებით)

წყალსაცავების შევსების და დაცლის (რეჟიმები) დასაშვები სიჩქარეები; ნატანის მონიტორინგი და შესაბამისი ღონისძიების ჩატარება მის (შესამცირებლად); ზეთის გაჟონვები ჰიდროტექნიკური და ელექტროტექნიკური მონყობილობებიდან.

9. ძირითადი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები

- ტექნოლოგიური პროცესების, ძირითადი მონყობილობების, მანქანების და მექანიზმების ჩამონათვალი;
- მართვის სტრუქტურა, წარმოების მუშაობის რეჟიმი: სადგურის ოპერატიული მართვა ხორციელდება მორიგე ინჟინრების მიერ 24-საათიან რეჟიმში. სულ 4 ცვლაა, თვითოეული ცვლის მუშაობის მუშაობის ხანგრძლიობა შეადგენს 8 სთ-ს.
- მუშაკების საერთო რაოდენობა: 76
- გენერალური გეგმის ძირითადი გადაწყვეტილებები და მაჩვენებლები;

10. სამოქალაქო დაცვის საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებები:

სამოქალაქო დაცვის საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების დახასიათება: სამოქალაქო დაცვის ფართობების გამოყენება სამეურნეო საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში.

11. გარემოს დაცვა

რაიონის საერთო ეკოლოგიური დახასიათება:

ხრამჭესის არეალის ზოგადი ეკოლოგიური მდგომარეობის დასახასიათებლად გამოყენებულია არსებული სპეციალური ლიტერატურა და ფონდური მასალები, მათ შორის: ვიკიპედია, ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია (ალფენიძე, მ., ელიზბარაშვილი, ე., დახარაძე, ვ.), საქართველოს მდინარეთა ჰიდროგრაფია (ვიკალიშვილი, თ.), გარემოს დაცვის ეკოლოგიური პრინციპები (ქაჯაია, გ.), გარემო და მდგრადი განვითარება (პეპენაშვილი, ნ., კლიშიაშვილი, ლ., და მალრაძე, ვ.), საქართველოს ტერიტორიისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი სტიქიური მოვლენებისა და რისკების ატლასი.

ხრამი არის მტკვრის მარჯვენა შენაკადი, რომელსაც ზემო წელში უწოდებენ ქციას. მდინარე ხრამი სათავეს იღებს თრიალეთის ქედის კალთებზე, მიედინება ღრმა ხეობაში. მდინარის სიგრძე 201 კმ-ია, აუზის ფართობი - 83402 კმ, წყლის საშუალო ხარჯი - 51 კუბ.მ/წმ, მაქსიმალური - 448 კუბ.მ/წმ. საზრდოობს უპირატესად თოვლით, ზამთრის პერიოდში არ იყინება, ქვემო წელში გამოიყენება სარწყავად. ხრამზე აგებულია წალკის წყალსაცავი და ორი ჰიდროელექტროსადგური: ხრამჭესი I და ხრამჭესი II.

მდინარე ხრამის აუზში კონტინენტური კლიმატია, ნალექიანობა მინიმალურია ზამთრისა და ზაფხულის ბოლოს. ხრამის აუზის მაღალმთიან ნაწილში (2000-3000 მ) სუბალპური ბალახი ხარობს, სტეპის ელემენტებით. ზეგნებზე გამოიყოფა შემდეგი ვეგეტაციური ზონები: მთიანი სტეპის მცენარეულობა; წიწვნარი, მუხნარი და რცხილის ტყეები; უფრო დაბლა ტყეები თხელდება და მათ ეკლიანი ბუჩქნარი ცვლის ტყის ელემენტებით. სტეპები და თხმელის პატარა ტყეები მდინარის გასწვრივ ჭარბობს აუზის კიდევ უფრო დაბალ მონაკვეთზე (ალუვიურ ველზე).

მდინარე ხრამს ქვემო ქართლისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და მისი ჩამონადენის თითქმის ყოველი კუბური მეტრი წყალი აღრიცხვავა აყვანილი. მდინარე ხრამის წყალი დღეისათვის გამოყენებულია მრავალი სოფლის სასმელი წყლით მომარაგებისათვის, კიდევ მრავალი სოფელი გეგმავს მდინარე ხრამიდან სასმელი წყლით უზრუნველყოფას. მდინარით ირწყვება ათასობით ჰექტარი სავარგულები და ათასობით ჰექტარი სავარგულების მორწყვა კიდევ იგეგმება [2], მიუხედავად იმისა, რომ უკვე დღეისათვის წარმოქმნილია სარწყავი წყლის დეფიციტი. სოფლები, რომლებიც "მიბმული" არიან მდინარე ხრამზე, დასახლებულია აზერბაიჯანული მოსახლეობით, რომლებიც მთლიანად დავალებული არიან სასოფლო პროდუქტების მოყვანით და წელიწადში იღებენ სამ მოსავალს. მდინარე ხრამის ჩამონადენის თუნდაც ნაწილობრივი შემცირება ნიშნავს მათ დატოვებას საარსებო პირობების გარეშე. ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა სოფლის მეურნეობაა.

ობიექტის გავლენის შეფასება გარემოზე:

სს „ხრამჰესი 2“ –ს მიღებული აქვს ISO 14001:2015 სერტიფიკატი



- ღონისძიებები ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების და გარემოს დაცვის მიმართ: დამონტაჟებულია ტექნიკური და საყოფაცხოვრებო წყლების გამწმენდი მოწყობილობები.
- გადაწყვეტილებები სანარმოო უსაფრთხოების და შესაძლო ავარიული სიტუაციების გაფრთხილების და ლიკვიდირების უზრუნველყოფის მიმართ: სანარმოოში არსებობს ავარიულ მდგომარეობათა ლიკვიდაციის გეგმა. სისტემატურად ტარდება პერსონალის ვარჯიშები.

- ობიექტის საჯარო განხილვის შედეგები და საზოგადოების აზრი:
სს ხრამჭეს 2 გზმ არ არის გაკეთებული.
- ობიექტის ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის და შრომის უსაფრთხოების პირობების უზრუნველყოფის მიმართ სახელმწიფო ზედამხედველობის და ინსპექტირების ნორმატიული და ტექნიკური მოთხოვნების დაცვის ღონისძიებები:
სრულდება ყველა ნორმატიული და ტექნიკური მოთხოვნა და მიწერილობა. შექმნილია დოკუმენტაცია შრომის დაცვის და უსაფრთხოების სფეროში. ხდება დოკუმენტაციის პერიოდული გადახედვა.

ამავდროულად:

- საშიში და მავნე საწარმოო ფაქტორებისაგან (ხმაური, ვიბრაცია, ელექტრომაგნიტური და რადიაციული გამოსხივება და სხვა) მომუშავე პერსონალის დაცვის ტექნიკური გადანაცვლებები:
პერსონალისათვის შექმნილია სპეცფეხსაცმელი და სპეცტანსაცმელი. პერსონალი აღჭურვილია ხმაურისაგან დამცავი ყურის საფარებლებით, სამუშაო ადგილზე დაშვება ხდება დამცავი ჩაფხუტებით. შესაბამისი სამუშაო ადგილები აღჭურვილია დამცავი საშუალებებით. ვიბრაციის ზემოქმედებას არ განიცდის, ელექტრომაგნიტურ და რადიაციულ გამოსხივებას ადგილი არ აქვს.

დასკვნები

საერთო დასკვნები ობიექტის შესახებ:

1963 წელს აშენებული ხრამჭეს 2-ის დამბის შედეგად მთლიანად (ყრუდ) გადაიკეტა მდინარე ხრამის კალაპოტი (ტაშბაშის წყაროების და სხვა შენამატი), რითაც შესაბამისი გავლენა მოხდა ეკოსისტემაზე.

განხორციელებული რეკონსტრუქციის და მოდერნიზაციის შემდეგ არ შესრულდა დანადგარის (ტურბინის) ენერგეტიკული ტესტირება (გამოცდა).

სადღეისოდ სადგური იმყოფება გამართულ მდგომარეობაში, ახორციელებს ელ.ენერგიით წარმოებას დის-პეტჩერული გრაფიკის მიხედვით, უწყვეტ რეჟიმში.

სადგურის მუშაობის საიმედოობის ასამაღლებლად დაგეგმილია სტატორების, სარელეო დაცვის და ავტომატიკის სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროგრამა მოცემულია დანართში).

ჟინვალის ჰესი

1. ჰესის მოკლე დახასიათება

- ა) სრული სახელწოდება - ჟინვალის კომპლექსური ჰიდროკვანძი შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, ჟინვალ-ჰესის სამსახური.
- ბ) იურიდიული მისამართი - დუშეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჟინვალი, ჟინვალჰესი;
- გ) საფოსტო და ელექტრონული მისამართები - თბილისი, კოსტავას 1 შესახვ. 33, info@georgianwater.com;
- დ) საკუთრების ფორმა, ობიექტის (სანარმო) მფლობელი - კერძო, შპს “ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი”;
- ე) მონაცემები ძირითადი სტრუქტურების და მათი ხელმძღვანელების შესახებ - ჰესი შედგება: ადმინისტრაცია, ელ. სამანქანო საამქრო, ელ. ტექნიკური ლაბორატორია, ჰიდროტექნიკური საამქრო, სარემონტო უბანი, მონიტორინგის ჯგუფი, სანარმო-ტექნიკური განყოფილება, ადმინისტრაციულ-სამეურნეო ჯგუფი, უსაფრ-თხოების ტექნიკისა და საგანგებო სიტუაციების ჯგუფი.
- ვ) პერსონალის რიცხოვნება - 72 თანამშრომელი

ჟინვალის კომპლექსური ჰიდროკვანძი 1985 წელს გაუშვეს ექსპლუატაციაში. ჰესის შენობა სამანქანო დარბაზში 4 ჰიდროაგრეგატი დგას, რომელთაგან თითოეულის სიმძლავრე 32,5 ათასი კვტ-ია. გენერატორების გამომუშავებული ელექტროენერჯია 110 და 220 კვ ღია ანვეის ქვესადგურს გადაეცემა, რომელიც კაშხლის ქვედა ფერდოსთან მდებარეობს. სადგურის საშუალო წლიური გამომუშავება 390 მლნ. კვტ-სთ შეადგენს.



ჟინვალის წყალსაცავი — კომპლექსური დანიშნულების წყალსაცავი აღმოსავლეთ საქართველოში, დუშეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ჟინვალის ჩრდილოეთით, თბილისიდან 70 კმ-ში. მდებარეობს მდინარე არაგვის შუა წელში. მოქცეულია ალფეის, გუდამაყრისა და ქართლის ქედებს შორის. ფართობი 11,5 კმ². წყლის მოცულობა 520 მლნ. მ³, სასარგებლო მოცულობა 370 მლნ. მ³. [1] მაქსიმალური სიღრმე 75 მ. [2] შეიქმნა 1985 წელს ჟინვალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით მდინარე არაგვის ხეობაში. მდინარე არაგვის ნაწილი, სადაც ჟინვალის წყალსაცავი აშენდა, გაუქმდა და ამ ყოფილი მდინარის ნაწილში მდინარის ეკოსისტემა აღარ არსებობს. [3] ჟინვალის წყალსაცავს დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქ თბილისის წყლით მომარაგების საკითხში. აღსანიშნავია, რომ ჟინვალის წყალსაცავი თბილისის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს ამარაგებს სასმელი წყლით. ჟინვალის ჰიდროკომპლექსის მშენებლობის დაწყებისას, წყლის ქვეშ მოექცა XII საუკუნის ჯვარიპატიოსნის სახელობის ეკლესია, რომელიც 6 თვე წყალშია მოქცეული, ხოლო 6 თვე წყლისგან თავისუფლდება.

ჟინვალის კომპლექსური ჰიდროკვანძის შემადგენლობაში შედის ჟინვალის ჰიდროელექტროსადგური და ბოდორნის საბუფერო აუზი. ჰიდროკვანძის დანიშნულებაა წყალმომარაგება და ენერგეტიკა.

ჟინვალის კაშხალთან მდებარე-დერივაციული, შერეული ტიპის მინისქვეშა ელექტროსადგურია, რომელსაც გააჩნია სეზონური რეგულირების წყალსაცავი მდ. არაგვზე.

ჟინვალის ნაგებობის შემადგენლობაში შედის ადგილობრივი მასალის მიწაყრილი კაშხალი თიხის გულით, სიღრმული წყალმიღები, სიღრმული და უქმი ღია წყალსადგებები, წყალმიმყვანი და წყალგამყვანი დერივაცია, ბოდორნის ბეტონის გრავიტაციული დასაშლელი კაშხალი.

2. ძირითადი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები

- ა) ელექტროსადგურის ტიპი - კაშხალთან მდებარე, მინისქვეშა
- ბ) დადგმული სიმძლავრე - 130,0 მგვტ.
- გ) საშუალოწლიური ენერგოგამომუშავება საპროექტო - 530 მლნ.კვტ.სთ. საშუალო, უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში -404,016 მლნ.კვტ.სთ.
- დ) ჰესის ტურბინებიშიგამავალი წყლის საპროექტო საანგარიშო ხარჯი – 115 მ³/წმ.
- ე) ჰესის დაწნევა:
 - საანგარიშო - 128 მ.
 - მაქსიმალური - 155,9 მ.
 - მინიმალური - 108,5 მ.
- ვ) წყალსაცავის ნიშნულები:
 - ნორმალური შეტბორვის - 810,0 მ.
 - მაქსიმალური - 812,0 მ.
 - მინიმალური - 770,0 მ. (766,0 მ. - მინიმალური ნიშნული, რომლის ქვემოთ დაუშვებელია წყალსაცავის ექსპლუატაცია).
- ზ) წყალსაცავის მოცულობა:
 - სრული საპროექტო - 520,0 მლნ. მ³.
 - სასარგებლო - 370,0 მლნ. მ³.
- თ) ჰიდროაგრეგატების რაოდენობა - 4.

ჰიდროტურბინები და მექანიკური მოწყობილობა

ჰიდროტურბინები

ჰესის შენობაში დამონტაჟებულია PO-170-B-180 ვერტიკალური რადიალურ-ღერძული (ფრენსისი) ტიპის ოთხი ჰიდროტურბინა, თითოეულის ნომინალური სიმძლავრეა 33,5 მგვტ, განოვის სიმაღლე -8,45 მ, მასში წყლის საანგარიშო ხარჯი 29,3 მ³/წმ. სპირალური კამერა ლითონისაა, შემოხვევის კუთხით 3450.

დისკური საკეტები

თითოეული ჰიდროტურბინის წინ დამონტაჟებულია 2,2 მ დიამეტრის 33ДП 200-166 ტიპის დისკური საკეტი.

წყალგამწოვი მილი

გამოღუნული, ტოროიდულ მუხლიანი გამწოვი მილები ქვედა ბიფის მხრიდან გადაფარულია სარემონტო ფარებით, ზომით 4,55x3,80 მ, რომელთა მომსახურება წარმოებს ელექტრო ტალით.

ამწე-მექანიზმები

წყალმიმღებს ემსახურება 2x80 ტ. ტვირთამწეობის ჯოჯგინა ამწე. სიღრმული წყალსაგდების ფარებს ემსახურება ბაგირებიანი სტაციონალური ტვირთამწე მექანიზმები, ტვირთამწეობით 1x250ტ (2ც.) და 2x63ტ. (2ც.). ჰესის შენობაში ჰიდროაგრეგატების მომსახურეობისათვის დამონტაჟებულია 125/20 ტ. ტვირთ-ამწეობის ხიდური ამწე, რომლის მალი 14,0 მ-ია. სატვირთო შახტს ემსახურება 100,0 ტონა ტვირთამწეობის ჯოჯგინა ამწე. ჟინვალჰესის საბუფერო აუზის წყალგამშვების ფარების მომსახურება ხორციელდება 2x50 ტ. (1ც.) ტვირთამწეობის მქონე ამწით. საბუფერო აუზის წყალმიმღებს ემსახურება 1x63ტ (1ც.) და 2x5ტ. (2ც.) ამწე.

ჰიდროაგრეგატების სიჩქარის რეგულატორები

